



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 21
28/06/2019

21-09-4-201906281855



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №46 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 26/04/2018, 010250000.35.163.016424).

1. დადგენილებას დაემატოს მუხლი 4¹ შემდეგი რედაქციით:


მუხლი 4¹. დამტკიცდეს ქალაქ თელავის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმა დანართი №4-ის შესაბამისად.

2. დადგენილებას დაემატოს მუხლი 5¹ შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5¹. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 ნოემბრის №53 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 18/11/2014, 010250050.35.163.016234).

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე




საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ქალაქ თელავის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმა

	გარე რეკლამის განთავსების ადგილმდებარეობა	გარე რეკლამის ზომა (მეტრი)	კოორდინატები
1	ქ. თელავი, აღმაშენებლის და ალაზნის გამზირის გადაკვეთა (გზის გამყოფი)	3×6	41°55'127.30 ¹¹ 45°28'118.38 ¹¹
2	ქ. თელავი, ელენე ახვლედიანის ქუჩა (უნივერსიტეტის პირდაპირ)	3×6	41°54'137.00 ¹¹ 45°28'108.18 ¹¹
3	ქ. თელავი, ვარდოშვილის ქუჩის და ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთა	3×6	41°55'121.34 ¹¹ 45°28'111.83 ¹¹
4	ქ. თელავი, ჭავჭავაძის გამზირზე (საქართველოს ბანკის მიმდებარედ)	3×6	41°55'106.88 ¹¹ 45°28'155.12 ¹¹
5	ქ. თელავი, თამარისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთა	3×3	41°55'104.86 ¹¹ 45°28'156.96 ¹¹
6	ქ. თელავი, სააკაძის ქუჩისა და ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთა (ხევის მარჯვენა სანაპირო)	2×4	41°55'119.35 ¹¹ 45°28'112.78 ¹¹
7	ქ. თელავი, ჭავჭავაძის გამზირი (თი ბი სი ბანკის მიმდებარედ)	3×6	41°55'106.10 ¹¹ 45°28'154.84 ¹¹
8	ქ. თელავი, რუსთაველის გამზირი (ყოფილ მე-3 აფთიაქთან)	3×6	41°55'106.05 ¹¹ 45°28'157.62 ¹¹
9	ქ. თელავი, სააკაძის ქუჩა (თელავის მუნიციპალიტეტის შენობასთან)	3×6	41°55'111.93 ¹¹ 45°28'112.25 ¹¹
10	ქ. თელავი, ჭავჭავაძის გამზირი, (მაღაზია ნიკორას მიმდებარედ)	3×6	41°55'118.24 ¹¹ 45°28'119.34 ¹¹
11	ქ. თელავი, რუსთაველის გამზირი (საპატრულო პოლიციის მიმდებარედ)	3×6	41°55'107.71 ¹¹ 45°29'106.19 ¹¹
12	ქ. თელავი, ჭავჭავაძის გამზირისა და თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩის გადაკვეთა	3×6	41°55'116.16 ¹¹ 45°28'123.84 ¹¹
13	ქ. თელავი, ალაზნის გამზირი (არხთან)	5×3	41°55'104.56 ¹¹ 45°28'142.34 ¹¹
14	ქ. თელავი, ნადიკვრის ქუჩა ყოფილი „ინტურისტის„ შესასვლელთან (აღმოსავლეთით)	3.0×3.0	41°54'156.24 ¹¹ 45°55'101.70 ¹¹
15	ქ. თელავი, ლეონიძის ქუჩის დასაწყისში (ბავშვთა საავადმყოფოსთან)	6.0×3.0	41°54'138.38 ¹¹ 45°28'135.92 ¹¹
16	ქ. თელავი, გულიაშვილის ქუჩა (საავადმყოფოსა და სასაფლაოს შორის)	3.0×3.0	41°54'146.57 ¹¹ 45°28'154.70 ¹¹
17	ქ. თელავი, ლეონიძის ქუჩა (სპორტდარბაზთან დასავლეთით)	6.0×3.0	41°54'146.57 ¹¹ 45°28'154.70 ¹¹

არჩილ თხლამიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

